ბანკი

ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც ინახავს მომხმარებლების ფულს, გასცემს სესხებს, ახორციელებს გადახდებს, ფულად გადარიცხვებს და გზავნილებს, ახდენს ვალუტის კონვერტაციას და ასრულებს სხვა ფინანსურ მომსახურებებს.

ოპერატორი (კონსულტანტი)

ბანკის თანამშრომელი, რომელიც მომხმარებლებს ემსახურება. ის მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას საბანკო პროდუქტების შესახებ და მათ სხვადასხვა მომსახურებას უწევს, როგორიცაა, მაგალითად, ანგარიშზე თანხის შეტანა.

მიმდინარე ანგარიში

მიმდინარე ანგარიში ყველაზე გავრცელებული საბანკო პროდუქტია. მიმდინარე ანგარიშზე შესაძლებელია სხვადასხვა ოპერაციის განხორციელება: თანხის შეტანა (ჩარიცხვა), გატანა, გადარიცხვა და კონვერტაცია (ფულის გადაცვლა, მაგ., დოლარიდან ლარში). საბანკო საგადახდო ბარათები ძირითადად მიმდინარე ანგარიშზეა „მიბმული“, რათა მომხმარებელმა ადვილად შეძლოს ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა.

როგორც წესი, მიმდინარე ანგარიშზე არ ხდება პროცენტის, ანუ სარგებლის დარიცხვა. მიმდინარე ანგარიშის გახსნა ძირითადად ფასიანია (თუმცა, ზოგჯერ, მაგ. ბავშვებისთვის, ის შეიძლება უფასო იყოს) და ის უმეტეს შემთხვევაში უვადოდ იხსნება.

ბანკომატი

ბანკის სალარო-ავტომატი, რომლის დახმარებითაც, პინ–კოდის სწორად მითითების შემთხვევაში, ხდება ანგარიშიდან სასურველი თანხის გამოტანა ანუ განაღდება. ბანკომატები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ. ინგლისურად ბანკომატი, ანუ ATM, იშიფრება, როგორც „ავტომატურად მოსაუბრე მანქანა“.

ვალუტის კონვერტაცია

ვალუტა ფულადი ერთეულია, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ან კონკრეტულ ტერიტორიაზე გამოიყენება. მაგალითად, როგორც საქართველოში გამოიყენება ლარი. ვალუტის კონვერტაცია კი, ერთი ვალუტის (მაგ., ლარის) სხვა ქვეყნის ვალუტაში (მაგ., აშშ დოლარში) გადაცვლას ნიშნავს. ვალუტის კონვერტაცია აუცილებლად დაგჭირდება თუ საზღვარგარეთ სამოგზაუროდ წასვლას აპირებ.

საკომისიო

თანხა, რომელსაც ვუხდით ბანკს ამა თუ იმ პროდუქტითა და მომსახურებით სარგებლობის სანაცვლოდ. მაგალითად, საბანკო-საგადახდო ბარათით სარგებლობისთვის, ბანკმა შეიძლება მოგთხოვოს ბარათის ყოველწლიური ან ყოველთვიური საკომისიოს გადახდა. ასევე, მიმდინარე ანგარიშიდან თანხის ბანკომატით გამოტანისას, შესაძლოა ჩამოგეჭრას გარკვეული რაოდენობის თანხა „განაღდების“ საკომისიოს სახით და ა.შ.

საპროცენტო განაკვეთი

ანუ პროცენტი. მარტივად, საპროცენტო განაკვეთი ის გადასახადი, ანუ სარგებელია, რომელსაც თანხის მიმღები თანხის გამცემს უხდის. საპროცენტო განაკვეთი პროცენტის სახით არის წარმოდგენილი.
თუ ბანკისგან სესხს ვიღებთ, მაშინ საპროცენტო განაკვეთი ის გადასახდელია, რომელსაც ბანკს იმის სანაცვლოდ ვუხდით, რომ ის გარკვეულ თანხას გვასესხებს. ეს თანხა ჩვენ წინასწარ შეთანხმებული დროის განმავლობაში უნდა დავაბრუნოთ.
თუ ბანკში დეპოზიტს ვხსნით, მაშინ საპროცენტო განაკვეთი ის სარგებელია, რომელსაც ბანკი დეპოზიტზე ფულის შენახვის სანაცვლოდ გვიხდის. ბანკი ჩვენს დეპოზიტზე არსებულ ფულს სხვადასხვა მიზნისთვის იყენებს - შესაბამისად, ბანკისთვისაც მომგებიანია, თუ ჩვენს ფულს დეპოზიტზე შევინახავთ.

დეპოზიტი

თანხა, რომელსაც ბანკში გარკვეული პერიოდით ვინახავთ და რომელზეც ბანკი საპროცენტო სარგებელს გვიხდის. ალბათ გსმენია **საბავშვო დეპოზიტის** შესახებ, რომელიც ბავშვის სახელზე და, როგორც წესი, მის სრულწლოვანებამდე, ანუ 18 წლამდე იხსნება. საბავშვო ანაბრის გახსნა და მასზე თანხის შეტანა შეუძლია მშობელს, მეურვეს, ან ნებისმიერ სხვა პირს. საბავშვო დეპოზიტზე თანხის შეტანა შეიძლება ნებისმიერ დროს ნებისმიერი მოცულობით, თუმცა ზოგიერთმა ბანკმა შეიძლება დააწესოს შესატანი თანხის მინიმალური ოდენობა (მაგ., 10 ლარი). საბავშვო დეპოზიტი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ მშობელმა თავისი შვილის მომავლისთვის დროულად დაიწყოს თანხის დაგროვებაზე ზრუნვა.

დეპოზიტის მინიმალური შენატანი

ამა თუ იმ ტიპის დეპოზიტის გახსნისას ბანკმა შეიძლება მოითხოვოს, რომ მომხმარებელმა ანგარიშზე განათავსოს განსაზღვრული თანხა. მასზე ნაკლები თანხის არსებობისას კი ანაბრის გახსნა არ იყოს შესაძლებელი. სწორედ ამ თანხას ეწოდება მინიმალური შენატანი. მაგალითად, თუ რომელიმე ბანკი ამბობს, რომ დეპოზიტის გასახსნელად მინიმალური შენატანი 100 ლარია, ეს იმას ნიშნავს, რომ 90 ლარით ამ ანაბარს ვერ გავხსნით. არსებობს ასევე, **ყოველთვიური მინიმალური შენატანებიც**, რომელიც ხელშეკრულებით მოითხოვება. მაგალითად, ზრდად ანაბარზე ბანკმა შეიძლება მოითხოვოს მასზე ყოველთვიურად 50 ლარის დამატება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩათვალოს რომ დაირღვა ხელშეკრულება.

სესხი

თანხა, რომელსაც ვიღებთ ვალის სახით. ამ დროს ვდებთ პირობას, რომ ამ თანხას, წინასწარ შეთანხმებულ ვადებში, უკან დავაბრუნებთ. დამატებით კი, მასზე დარიცხულ პროცენტსაც გადავიხდით. სესხის პირობები ხელშეკრულებაში იწერება, რომელსაც გამსესხებელი და მსესხებელი აწერენ ხელს. ხელშეკრულების კარგად წაკითხვა აუცილებელია გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად!
სანამ სესხს აიღებდე, კარგად უნდა დაფიქრდე, რამდენად შეძლებ მის გადახდას. სესხის გაცემამდე ბანკიც ამოწმებს სესხის მსურველის **გადახდისუნარიანობას,** ანუ იმას, თუ რამდენად შეძლებს მსესხებელი სესხის გადახდას, თავისი შემოსავლებიდან და ხარჯებიდან გამომდინარე. ასევე, ამოწმებს, რამდენად დროულად იხდიდა მსესხებელი წარსულში სესხებს და ახლაც აქვს თუ არა მას სხვა სესხი.

იპოთეკური სესხი

სესხი, რომლითაც მომხმარებლებს შეუძლიათ სახლის (ან მიწის ნაკვეთის) შეძენა, აშენება და გარემონტება. იშვიათად შეხვდები ადამიანს, რომელსაც ახალი სახლის საფასურის ერთიანად გადახდის შესაძლებლობა აქვს - სწორედ ამიტომაც, იპოთეკური სესხები საკმაოდ გავრცელებულია. იპოთეკური სესხი, ჩვეულებრივ, გრძელვადიანია. ის უმეტეს შემთხვევაში, იმ ქონებით არის უზრუნველყოფილი, რომლის შესაძენად, ან ასაშენებლადაც გაიცა. ძალიან მარტივად, უზრუნველყოფა ნიშნავს, რომ თუ მომხმარებელი ვეღარ შეძლებს სესხის გადახდას, ბანკს უფლება აქვს გაყიდოს უზრუნველყოფაში არსებული ქონება (ანუ ეს სახლი, ბინა, ან ნაკვეთი) – ანუ, მოახდინოს **ქონების „რეალიზაცია“** – და ამ გზით დაიბრუნოს საკუთარი თანხა.

სამომხმარებლო სესხი

სესხი, რომელსაც მომხმარებელი პირადი მოხმარებისთვის იღებს. სამომხმარებლო სესხები ხშირად გამოიყენება საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, სამოგზაუროდ, მიმდინარე ხარჯების დასაფარად (მაგ., მოულოდნელად გაფუჭებული ტექნიკის შესაკეთებლად). სამომხმარებლო სესხი ჩვეულებრივ, მოკლევადიანი და შედარებით ძვირია, ვიდრე სხვა ტიპის სესხები. როგორც წესი, ბანკი გვეკითხება, თუ რა მიზნით ვიღებთ სამომხმარებლო სესხს. სანამ სესხს მოგვცემდეს, ბანკი ამოწმებს რიგ ფინანსურ მონაცემებს ჩვენ შესახებ: ჩვენს შემოსავალს, გვაქვს თუ არა სხვა სესხები ამ ეტაპზე, დროულად ვაბრუნებთ ჩვენს სესხებს თუ დაგვიანებით და ა.შ.

განვადება

განვადებაც სესხია, რომელსაც რაიმე საქონლის (მაგ., ლეპტოპი) ან მომსახურების (მაგ., მოგზაურობა) შესაძენად ვიღებთ. ხშირად, სასწრაფოდ გვჭირდება ესა თუ ის ნივთი, მაგრამ იმ მომენტში არ გვაქვს საკმარისი თანხა. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ეს ნივთი შევიძინოთ განვადებით. ეს ნიშნავს, რომ სასურველი ნივთს იმ დღესვე მივიღებთ, ხოლო მის საყიდლად აღებული სესხი გარკვეული დროის განმავლობაში უნდა დავფაროთ. განვადება, როგორც წესი, მოკლევადიანია, და მისი საშუალო ვადა ერთი წელია. დაიმახსოვრე, რომ ძირითად შემთხვევაში განვადებით შეძენილი ნივთის ფასი აღემატება საკუთარი სახსრებით შეძენილი ნივთის ფასს. რადგან განვადებაც სესხია, ბანკები, სანამ განვადებით ნივთს გადმოგცემდნენ, შეაფასებენ, თუ რამდენად შეძლებ მის გადახდას.

თავდები

იმისთვის, რომ სესხი გასცენ, ბანკები ზოგჯერ მოითხოვენ თავდების წარმოდგენას. თავდები ის პირია, რომელიც საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, დაფაროს სესხი იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვეღარ ფარავს მას. ამ გზით, ბანკი ამცირებს გადაუხდელობის რისკს. თავდებობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და კარგად უნდა დაფიქრდე, სანამ თავდებობას დათანხმდებოდე! თავდებობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შენ უბრალოდ კი არ უჭერ მხარს მსესხებელს, არამედ პირდაპირ იღებ ვალდებულებას, რომ შენი ჯიბიდან დაფარავ მის სესხს, თუ ის თავად ვეღარ შეძლებს სესხის დაფარვას. ხელმოწერამდე ყურადღებით უნდა წაიკითხო თავდებობის ხელშეკრულებაც. 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდას არ აქვს უფლება, დამოუკიდებლად აიღოს სესხი ან იყოს თავდები სხვის სესხზე.